2-4683/20
24-03-2020

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

მოგახსენებთ, რომ საქართველოს პარლამენტის წევრების: ზაზა გაბუნიას, მერაბ ქვარაიას, გოგა გულორდავას, გიორგი კოპაძის, კობა ლურსმანაშვილის, გოჩა ენუქიძის, ერეკლე ტრიპოლსკის, პაატა მხეიძისა და არჩილ ხაბაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილია საქართველოს რეგლამენტის პროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ და საქართველოს კანონის პროექტებზე: „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/438; 26.02.2020).

საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2020 წლის 2 მარტის №331/2 გადაწყვეტილებით, აღნიშნულ კანონპროექტზე წამყვან კომიტეტად განისაზღვრა რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი, ხოლო სხვა კომიტეტებად გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი.

წამყვან კომიტეტებს განხილვის ვადად განესაზღვრა 2020 წლის 6 აპრილი, ხოლო სხვა კომიტეტებს განხილვის ვადად განესაზღვრა 2020 წლის 23 მარტი.

ბიუროს მიერ განსაზღვრულ ვადებში სხვა კომიტეტებმა ვერ შეძლეს წარმოდგენილი კანონის პროექტის განხილვა, შესაბამისად, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა მოგვმართა წერილით (№2-4643/20 20-03-2020), საკანონმდებლო ინიციატივის განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ გააგრძელოთ საკანონმდებლო ინიციატივის განხილვის ვადა 2 თვით.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ზაზა გაბუნია